N749 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – დიდგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ლიკვიდაციის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) 2015 წლის 1 იანვრამდე ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – დიდგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – დიდგორის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – დიდგორის რაიონის საგანმანათლებლო

რესურსცენტრის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კომისიის შექმნა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**